საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაცია

GEORGIAN PHYSICIANS POSTGRADUATE ASSOCIATION

VII პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია

კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები

(ასოციაციის პრეზიდენტი: პროფ. დავით თელია)

14-22 თებერვალი, ბაკურიანი

ძვირფასო კოლეგა,

გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ **2015 წლის 14-დან 22 თებერვლამდე** საქართველოს ექიმთა პოსტ-დიპლომური განათლების ასოციაცია დაბა ბაკურიანში, მაღალი კლასის ახალ სასტუმრო **"სნოუ-პლაზაში"** ატარებს VII პოლიპროფილურ სამედიცინო კონფერენციას:

კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები

კონფერენცია აკრედიტებულია თსსუ-ს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიერ (12.12.2014; სხდომის ოქმი N4), გაერთიანებული კონ-ფერენციის ყველა რეგისტრირებულ მონაწილეს მიენიჭება 35 კრედიტ-ქულა და გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

კონფერენციის მიზანია ჩვენს ქვეყანაში კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სპეციალობებსა და სუბსპეციალობებში საერთაშორისო სტანდარტებისა და გაიდლაინების დამკვიდრების ხელშეწყო-ბა და სპეციალისტთა შორის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება. კონფერენციის თემატიკა მოიცავს დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორებში (ICD10; ICPC2) შემავალ სიმპტომებს, სინდრომებს და ნოზოლოგიებს, ასევე, ლაბორატორიული მედიცინის, კლინიკური ფარმაკოლო-გიისა და ფარმაციის იმ საკითხებს, რომლებიც აქტუალურია პრაქტიკული მედიცინისთვის.

ფორუმზე წარმოდგენილი იქნება სამედიცინო და კოსმეტოლოგიური ცენტრების, ფარმაცევტული კომპანიების პროდუქცია, ინოვაციები და პროგრამები.

გარდა ამისა, კონფერენციაზე დამსწრეებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ მრა-ვალფეროვან კულტურულ პროგრამებში (მუსიკალური საღამოები, სპორტული ღონისძიებები); მოისმინონ ხელოვნების, პოლიტოლოგიისა და ისტორიის სფეროში მოღვაწე ქართველი სპეციალი-სტების საინტერესო ლექციები.

საორგანიზაციო კომიტეტი გიწვევთ ამ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მომხსენებლის, თანა-მომხსენებლის, მსმენელის და/ან სპონსორის სტატუსით.

მონაწილეები განთავსდებიან მაღალი კლასის სასტუმრო **"სნოუ-პლაზაში"** და მასთან მიმდებარე სხვა სასტუმროებში **ექსკლუზიური ფასდაკლებით**.

ვინაიდან მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, გთხოვთ, დროულად შეგვატყობინოთ კონფერ-ენციაში მონაწილეობის შესახებ შემდეგ ტელეფონებზე:
555 70 20 20 (ციცინო გაგნიძე); 555 20 60 60 (სოსო დონღუზაშვილი);
577 44 55 78 (ნანა გვეტაძე); 599 22 22 03 (ნანა თვალავაძე);
551 57 45 22 (ბორის კორსანტია - მოხსენებებთან და სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებული საკითხები)

გისურვებთ წარმატებას და ველით თქვენთან შეხვედრას!

<u>სასტუმროებში განთავსების პირობები</u>

<u>სასტუმრო "სნოუ-პლაზა"</u>

სასტუმრო "სნოუ-პლაზაში" განთავსების და კონფერენციაში მონაწილეობის სრული პაკეტის ღირებულებაა **750 ლარი (9 დღე, 8 ღამე სამჯერადი კვებით)**.

6 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვების განთავსება ადგილის დაკავების გარეშე - უფასოა.

ყურადღება! სასტუმროში ადგილების რაოდენობა ლიმიტირებულია!

სასტუმროში ადგილების ლიმიტირებული რაოდენობის გამო, **აუცილებელია ადგილის დაჯავშნის თანხის (მინიმუმ 150 ლარი) გადახდა 15 იანვრამდე**, ხოლო 1 თებერვლამდე კონფერენციაში მონაწილეობის დარჩენილი თანხის შეტანა (დაჯავშნის თანხა შედის საგზურის ღირებულებაში).

<u>სასტუმრო "პრემიერ-პალასი"</u>

სასტუმრო "პრემიერ-პალასში" განთავსების და კონფერენციაში მონაწილეობის სრული პაკეტის ღირებულებაა **590 ლარი (9 დღე, 8 ღამე სამჯერადი კვებით)** .

5 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვების განთავსება ადგილის დაკავების გარეშე - უფასოა. ხოლო 6-დან 10 წლის ჩათვლით გათვალისწინებულია 50%-იანი ფასდაკლება (საწოლის უზრუნველყოფით).

სასტუმროში ადგილების დასაჯავშნად **აუცილებელია დაჯავშნის თანხის (მინიმუმ 100 ლარი) გადახდა 15 იანვრამდე** , ხოლო 1 თებერვლამდე კონფერენციაში მონაწილეობის დარჩენილი თანხის შეტანა (დაჯავშნის თანხა შედის საგზურის ღირებულებაში).

<u>სასტუმრო "თბილისი"</u>

სასტუმრო "თბილისში" განთავსების და კონფერენციაში მონაწილეობის სრული პაკეტის ღირებულებაა **520 ლარი (13-დან 21 თებერვლამდე, სამჯერადი კვებით)** .

სასტუმროში ადგილების დასაჯავშნად აუცილებელია დაჯავშნის თანხის (მინიმუმ 100 ლარი) გადახდა 15 იანვრამდე, ხოლო 1 თებერვლამდე კონფერენციაში მონაწილეობის დარჩენილი თანხის შეტანა (დაჯავშნის თანხა შედის საგზურის ღირებულებაში).

დოლარის კურსის მკვეთრი მატების შემთხვევაში შესაძლოა აღნიშნული ღირებულების მცირე ცვლილება (საორგანიზაციო კომიტეტი შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს სასტუმროს ღირებულების სტაბილურობის შენარჩუნებას საორგანიზაციო შენატანების შემცირების ხარჯზე).

<u>საბანკო რეკვიზიტები (სალარე ანგარიში):</u>

მიმღები ბანკი: **თი-ბი-სი ბანკი;** ბანკის კოდი: **TBCBGE22;**
მიმღები: **საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაცია;**
ანგარიშწორების ანგარიში: **GE 37 TB 7795 0360 2010 0001**

(<u>შენიშვნა:</u> თანხის გადახდისას, გადარიცხვის დანიშნულებაში აუცილებლად მიუთითეთ იმ პიროვნების სახელი და გვარი ვისთვისაც არის განკუთვნილი თანხა)